.1944

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

კრებული

ფელიეტონი მეშვიდე

№ 1-2 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Груз. ССР | 1944 ₾.

საქ. სსრ. საბ. აკად. საჯარო ბიბლიოთეკა

თბილისი — 1944 ₾.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. გამოშვებისათვის უშ. ოგბოლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/III-44 წ. უე-011109. შეკვეთის № 384.
ტირაჟი 3000

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის სტამბა, ქ. თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 14 იანვარი.

„სასკოლო ასაკის (7—17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით, სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის დარგში შემოღებული წესები სცვლიან „სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის, სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანისა და მოსწავლეთა აღრიცხვის საქმის მოწესრიგების შესახებ“ 1940 წლის მარტში საქართველოს სსრ განსახკომის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციას, ამის გამო ვბრძანებ:

1. საქართველოს სსრ განსახკომის მიერ 1940 წლის მარტში „სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანისა და მოსწავლეთა აღრიცხვის საქმის მოწესრიგების შესახებ“ დამტკიცებული ინსტრუქცია გაუქმდეს.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია გამოიცეს ცალკე წიგნებად ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

3. დაევალოს რაიონულ და საქალაქო განათლების განყოფილებათა გამგეებს საფუძველიანად გააცნონ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს), მასწავლებლებსა და მშობლებს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით № 1756 დამტკიცებული ინსტრუქცია „სასკოლო ასაკის (7—17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ხსენებული ინსტრუქციის განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს სისტემატურად აწარმოოს ხსენებული ინსტრუქციის შესრულების მიმდინარეობის შემოწმება ადგილებზე და მიიღოს საჭირო ზომები შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. ციკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 12 იანვარი.

სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის ციფრობრივი ხუთბალიანი შეფასების სისტემის შემოღების შესახებ

მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის უფრო მკაფიოდ და ზუსტად შეფასებისა და მათი ცოდნის ხარისხისადმი მოთხოვნის ამაღლების მიზნით ბრძანებ:

1. საქართველოს სსრ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში დღემდე არსებული მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასების სიტყვიერი სისტემა – ფრიადი, კარგი, საშუალო, ცუდი, ძლიერ ცუდი, შეიცვალოს შეფასების ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემით: 5,4,3,2,1.

2. მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასების ხუთბალიანი სისტემა შემოღებული იქნეს საქართველოს სსრ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1944 წლის 11 იანვრიდან.

საფუძველი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 11 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 4 თებერვალი.

სკოლაში სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სოციალისტური შეჯიბრება,—რაც სასწავლო მუშაობაში მექანიკურად არის გადმოტანილი წარმოებიდან,—ზიანს აყენებს სკოლაში სწავლის ხარისხის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სკოლათა შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებანი, რომლებშიაც გათვალისწინებულია „ასპროცენტიანი“ წარმატების მიღწევა, ფრიადოსან და კარგოსან მოსწავლეთა რიცხვის გარკვეული რაოდენობით გაზრდა, იწვევს წარმატების შეფასების ხელოვნურად გადიდებას, ამცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს მასწავლებელთა მოთხოვნას მოსწავლეებისადმი და აქვეითებს მასწავლებლის როლს სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში. მასწავლებელი აღარ ცდილობს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას ობიექტურად მიუდგეს, რადგან სახალხო განათლების ორგანოები მისი მუშაობის ხარისხს მოცემული კლასის მოსწავლეთა წარმატების პროცენტის მიხედვით აფასებენ. ზოგიერთი მოსწავლე მასწავლებელთა თვითვალდებულებებს ასპროცენტიანი წარმატების შესახებ იყენებს თავისი დაუდევრობისა და ასიზარმაცის დასაფარავად. სასწავლო-სააღმზრდელო საქმის საფუძვლების ასეთი დამახინჯების შედეგად მრავალ სკოლაში წარმატების ფორმალური მაჩვენებლები იზრდება, მაგრამ სინამდვილეში მოსწავლენი უფრო მომზადებულნი და განათლებულნი არ ხდებიან. ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეებსა და სკოლების დირექტორებს (გამგეებს):

1. შესწყვიტონ სკოლებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის სოციალისტური შეჯიბრება სასწავლო მუშაობაში.

აკრძალონ მოსწავლეთა მოსწრების საშუალო პროცენტის საფუძველზე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის შეფასების **არასწორი** და მავნე პრაქტიკა.

2. გადაჭრით აღკვეთონ რაიმე ზეგავლენის მოხდენა მასწავლებლებზე მოსწავლეთა ცოდნის შეფასების დარგში და მოსწავლეთა წარმატების ზუსტი და ობიექტური შეფასების საქმეში სრული, პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრონ მასწავლებლებს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი მ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 9 თებერვალი.

კინოსურათებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების წესის შ ე ს ა ხ ებ

კინოსურათებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების მოწესრიგების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აიკრძალოს 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრება მათი მომზადებისა და ასაკისათვის შეუფერებელ კინოსურათებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სახის სანახაობებზე.

2. აიკრძალოს აგრეთვე სწავლის პერიოდში, სასწავლო და ვერა დღეებში, 16 წლის ასაკამდე მოსწავლეების დასწრება კინოსურათებისა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სახის სანახაობებზე სკოლის დირექტორის (გამგის) ნებართვის გარეშე.

დაევალოს სკოლის დირექტორებს (გამგეებს) სათანადო კინოსურათების ნახვისა და თეატრის სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე დასწრების უფლება 16 წლის ასაკამდე მოსწავლეებს მისცენ მხოლოდ უფროსებისა, მასწავლებლებისა და პიონერხელმძღვანელების თანხლებით. ამასთან ერთად, ნებართვის მიცემისას, მხედველობაში მიიღონ მოსწავლის წარმატება და ყოფაქცევა.

3. დაწესდეს, რომ 16 წლის ასაკამდე მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ კინოსურათები და დაესწრონ სხვადასხვა სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებს მხოლოდ საღამოს 9 საათამდე.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა და კინოფიკაციის სამმართველოს მისცენ სათანადო დირექტივა თეატრებისა, კინოებისა და სხვა სახის სანახაობათა დაწესებულებების დირექტორებს კინოსურათებსა, თეატრების სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობებზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების ახალი წესის შესახებ.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს. სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, სკოლების დირექტორებსა და გამგეებს უზრუნველჰყონ ამ გრძანების განუხრელად გატარება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1944 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისაგან

1944 წლის 29 თებერვალი.

1943 წელში სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავება-მოკვლის დარგში ჩატარებული მუშაობის შედეგებისა და 1944 წელში მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ მრავალმა სკოლამ სათანადოდ შეაფასა სწავლების სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან დაკავშირების საქმეში სასკოლო მიწის ნაკვეთების მნიშვნელობა და განსახკომის დირექ-

ტიკების საფუძველზე კარგად მოაწყო ამ ნაკვეთებზე მოსწავლეთა საცდელი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1943 წელში სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავების დარგში მაღალი მაჩვენებლები მოგვცეს ჭიათურის რაიონის—კიცხის, ხობის რაიონის—ბიისა და პირველი მაისის, წყალტუბოს რაიონის—ფარცხანაყანევისა და მესხეთის, ზესტაფონის რაიონის—საზანოსა და დიდიწიფლის, გეგეჭკორის რაიონის—თამაკონის, სიღნაღის რაიონის—ვაქირისა და ქვემო მაჩხაანის, ქუთაისის რაიონის—კვახჭირისა, ჩხარის რაიონისა—თერჯოლისა, ცხაკაიის რაიონის—ნოსირისა და სხვა რაიონების მრავალმა სკოლამ. მიწის ნაკვეთები ამ სკოლებში დროულად შემოღობეს, დაგეგმეს, ნიადაგი გადაამბრუნეს და გაანოყიერეს, საუკეთესოდ უვლიდნენ ნათესებსა და ნარგავებს, აკვირდებოდნენ მათ ზრდა-განვითარებას და აწარმოებდნენ საცდელ მუშაობას. სკოლის მიწის ნაკვეთებზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბუნებისმეტყველო დისციპლინების პროგრამებით გათვალისწინებული კურსის შესწავლასთან. სასკოლო მიწის ნაკვეთზე ორგანიზებული მუშაობის შედეგად გაძლიერებული იქნა მოსწავლეთა ინტერესი ბიოლოგიის შესწავლისადმი და დასაბელებული სკოლების მოსწავლეებმა საბუნებისმეტყველო დისციპლინებში საფუძვლიანი და მტკიცე ცოდნა მიიღეს. ამასთან ერთად, ამ სკოლებმა მიწის ნაკვეთებიდან კარგი მოსავალი აიღეს და მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწიეს წითელარმიელთა შვილებს.

მიუხედავად ამ წარმატებისა, განათლების განყოფილებების და სკოლის დირექტორებისა და გამგეების სუსტი ხელმძღვანელობის გამო, საქართველოს სსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების საკმაო ნაწილს სასკოლო მიწის ნაკვეთები გამოყოფილი არ ჰქონდა, ხოლო ნაკვეთის მქონე მრავალი სკოლა მიწის ნაკვეთს ვერ უვლიდა დაავერ იყენებდა სასოფლო მიზნებისათვის.

1943 წელში მიწის ნაკვეთები არ ჰქონდათ გამოყოფილი გურჯანის, საჩხერისა და წულუკიძის რაიონებში სკოლების 30%-ს, ბორჯომის, ვანისა და ონის რაიონებში—76—79%-ს, მცხეთის, თბილისისა და ასპინძის რაიონებში—85—87%-ს, ხოლო ადიგენისა და ზსვანეთის რაიონებში სკოლებს მიწის ნაკვეთები სრულებით არ გააჩნდათ.

1944 წელს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისა, შემოღობვისა, მათი დროულად დაგეგმვა—დამუშავებისა და სათანადოდ მოვლის უზრუნველსაყოფად ვბრძანებ:

§—1

დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) დასვან საკითხი სამიწადმოქმედო ორგანოების წინაშე და ამა|წლის 15 მარტამდე უზრუნველჰყონ საცდელი მიწის ნაკვეთის გამოყოფა იმ სკოლებისათვის, რომლებსაც მიწის ნაკვეთები არა აქვთ, იმ ვარაუდით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებით სკოლას ექნეს 0,5 ჰექტარი, არასრულ საშუალო სკოლას—1 ჰა, ხოლო საშუალო სკოლას—1,5 ჰა მიწის ნაკვეთი.

ბ) სამიწადმოქმედო ორგანოების დახმარებით უზრუნველჰყონ სასკოლო მიწის ნაკვეთების თესლითა და ნერგებით მომარაგება;

გ) სისტემატურად შეამოწმონ სასკოლო მიწის ნაკვეთების მოვლა-დამუშავებისა და დაცვის მდგომარეობა, გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიებანი, რათა სასკოლო ნაკვეთები საუკეთესოდ იქნეს დამუშავებული და მოვლილი და მოსწავლეთა მუშაობა ნაკვეთებზე მტკიცედ იქნეს დაკავშირებული საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებასთან.

§—2

დაევალოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებსა და გამგეებს:

ა) დროულად შემოლობონ მიწის ნაკვეთები, დაგეგმონ, დაბარონ, გაანოყიერონ, დათესონ და დარგონ შერჩეული თესლები და ნერგები, დაიწესონ მტკიცე ზედამხედველობა და უზრუნველჰყონ ნათესებისა და ნარგავების სათანადოდ მოვლა და დაცვა;

ბ) სკოლის საცდელ ნაკვეთებზე მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოგრაფიის კურსის პროგრამების სათანადო თავებში გათვალისწინებული თეორიული მასალის შესწავლას.

გ) გააპიროვნონ ნარგავები და კვლები ცალკე კლასებსა და მოსწავლეთა რაზმებზე, საგაზაფხულო და საზაფხულო არდადეგების დროს დაიწესონ ადგილებზე დარჩენილი მოსწავლეების მორიგეობა და არ დაუშვან ნარგავებისა და ნათესების დაზიანება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1944 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლის 1 ნოემბერი.

კურსდამთავრებულთა მოწმობა—ატესტატების შენახვის, გაცემისა და ანგარიშვების საძმეში არსებული ნაკლოვანებებისა და დამახინჯებათა შესახებ

გამოკვლევით დადასტურდა, რომ საქართველოს სსრ სახალხო განათლების ზოგიერთი სარაიონო განყოფილებასა და სკოლაში კურსდამთავრებულთა მოწმობა—ატესტატების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშვების წესის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 27 ივლისის დადგენილებისა და ამის საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ ინსტრუქციათა შესრულების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებს და ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულებრივი ხასიათის დამახინჯებებსაც:

ა) დაუნმრავი, ზონარგაუყრელი, შეუმოწმებელი და არასაიმედო ადგილზეა შენახული მოწმობა-ატესტატების ბლანკების გაცემის სარეგისტრაციო წიგნი გეგეჭკორის რაიონის სერგეთის, მაიაკოვსკის რაიონის საკრაულას, ქარელის რაიონის აგარისა და სხვ. საშუალო სკოლებში; ზოგ შემთხვევაში მოთხოვნილებანი მოწმობა-ატესტატებზე სკოლების მიერ უპასუხისმგებლოდ არის შედგენილი, წარმოდგენილ მოთხოვნილებებში მოწმობა-ატესტატების რაოდენობა მხოლოდ ციფრით არის აღნიშნული და ხშირად ისიც გადასწორებულია, ზოგჯერ არავითარი ყურადღება არ ექცევა მოწმობა-ატესტატების ბლანკების მიღება—გაცემის საქმეში მტკიცე ანგარიშგებას. მაგალითად, სახალხო განათლების ქარელის სარაიონო განყოფილებას (განყოფილების გამგე ამხ. დ. თ. ლობჟანიძე) 1943 წელს მიუღია სულ 110 ცალი ჩვეულებრივი ატესტატი, გაუცია 64 ცალი, ხოლო განათლების განყოფილებაში აღმოჩნდა 45 ცალი, ამგვარად არ ჩანს ერთი ატესტატი. ამავე რაიონის ბრეთის საშუალო სკოლას 3 ცალი საფრიადოსნო ატესტატი მიუღია, ხოლო განათლების განყოფილებას მოწმობა-ატესტატების გაცემის აღრიცხვის წიგნში გატარებული აქვს 4 ცალი.

სახალხო განათლების თბილისის რაიონის განყოფილებამ (განყოფილების გამგე ამხ. მ. მ. კვაჭაძე) დაკარგა 6 ცალი ჩვეულებრივი ატესტატი და ერთი ცალი განსაკუთრებული ატესტატი მოზრდილთა საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრების შესახებ.

ბ. არის შემთხვევები, როდესაც სკოლებზე მოწმობა-ატესტატების ბლანკების გაცემა სწარმოებს მანამ, სანამ სკოლის დირექტორი დაადასტურებდეს სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს დასკვნითი სხდომის გადაწყვეტილებას მოსწავლეთა მიერ სკოლის კურსის დამთავრების შესახებ. მაგალითად, ბორჩალოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ სკოლებს მისცა მოწმობების ბლანკები მე-4 და მე-7 კლასის მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით პედაგოგიური საბჭოს მიერ სათანადო დადგენილების მიღებამდე.

გ. ზოგი სკოლის დირექტორი გულგრილად და დაუდეგრად ეკიდება მოწმობა-ატესტატების ბლანკების შევსების საქმეს, მოწმობა-ატესტატების შევსებისას დაშვებულია უხეში შეცდომები, გადასწორებანი და სხვ. მაგალითად, კასპის რაიონის წითელქალაქის საშუალო სკოლის (დირექტორი ე. კოვალევსკაია) მიერ ლინდა გიორგის—ასულ ალოვის სახელზე გაცემული საფრიადოსნო ატესტატი შევსებულია მხოლოდ ქართულ ენაზე. მხოლოდ ქართულ ენაზეა შევსებული აგრეთვე ძველი გურჯაანის,

ონის პირველი, ქ. თბილისის ყოფილი 28-ე, მე-9, 34-ე, მე-15, ნ. ...ის სახელობის ჩოხატაურის, საჩხერის რაიონის არგვეთისა და სხვა საშუალო სკოლების მიერ გაცემული ზოგიერთი საფრიადოსნო ატესტატი.

დ. ზოგჯერ გაცემულ ატესტატებში მთელ რიგ სასწავლო დისციპლინებში შეფასებანი (ნიშნები) არაა შეტანილი. ასე, მაგალითად, გალის მე-2 საშუალო სკოლის მიერ კოსტანტინე გიორგის-ძე ტორუას სახელზე გაცემულ ატესტატში ცოდნის შეფასება (ნიშნები) არაა შეტანილი წვევამდე სამხედრო მომზადებაში, ხაზვაში, ხატვასა და სიმღერაში. იგივე ითქმის ჩოხატაურის, ონის პირველ, სერგიეთის (გეგეჭკორის რაიონი), წითელქალაქის (ბაკურიანის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლების შესახებ.

ე. რიგ შემთხვევაში მოწმობა-ატესტატებზე სასწავლო ნაწილის გამგე და მასწავლებლები ხელს არ აწერენ, მაგალითად, ხობის საშუალო სკოლის მიერ ლუცია მალაქიას-ასულ კიტიასა და ვადიკო დავითის-ძე ბოგვავას სახელზე გაცემულ საფრიადოსნო ატესტატებზე ხელს აწერენ და ისიც გაურკვევლად მხოლოდ სკოლის დირექტორი და ერთი მასწავლებელი. სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები ხელს არ აწერენ აგრეთვე უწერის (ონის რაიონი), ქ. თბილისის ყოფ. 33-ე, ქ. ჭიათურის მე-3, ჩოჩხათის (ლანჩხუთის რაიონი), ცაგერისა და სხვა საშუალო სკოლების მიერ გაცემულ საფრიადოსნო ატესტატებზე.

ხშირად მოწმობა-ატესტატებზე სკოლის მრგვალი ბეჭედი იმგვარად არის დასმული, რომ ძნელი ამოსაკითხავია სკოლის სახელწოდება. განსაკუთრებით ეს ითქმის პირველი სვირის (ზესტაფონის რაიონი), კორბოულის (საჩხერის რაიონი), მცხეთისა და სხვა საშუალო სკოლების შესახებ.

ვ. ზოგჯერ საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც უნდა მიეცეთ განსაკუთრებული ატესტატი საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრების შესახებ, ეძლევათ ჩვეულებრივი ატესტატი. ასე, მაგალითად სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლამ შოთა ნიკოს-ძე ყაჯრიშვილს მისცა ჩვეულებრივი ატესტატი, ყველა სასწავლო დისციპლინაში შეტანილია ფრიადი შეფასება. ამასვე ჰქონდა ადგილი ზესტაფონის ფეროს საშუალო სკოლაშიაც.

ზ. ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნების ხელოვნურად აწევის ანტიპედაგოგიური და თვალსახვევის დანაშაულებრივ ფაქტებს. ასე, მაგალითად, ჭიათურის რაიონის ქვაციხის საშუალო სკოლის დირექტორმა მარიამ პავლეს-ასულმა მორჩილაძემ განსაკუთრებული ატესტატები საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრების შესახებ მისცა ისეთ ორ მოსწავლეს, რომელთაგან ერთს სასწავლო წლის მეოთხედებში „ცუდი“ და „საშუალო“ შეფასება (ნიშნები) ჰქონდა, ხოლო მეორეს სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედამდე სკოლაში არ უვლია.

აღვნიშნავ, რომ კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების საქმეში ზემოთ აღნიშნული დამახინჯებანი წარმოადგენენ ამ საქმისადმი სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლის დირექტორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგს და ვბრძანებ:

1. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასების ნიშნების გადასწორებისათვის და თვალისახვევის გზით ცრუ ფრიადოსანთა ამოშვებისათვის მოიხსნან სამუშაოდან ჭიათურის რაიონის ქვაციხის საშუალო სკოლის დირექტორი მარიამ პავლეს-ასული მორჩილაძე და ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გაგე ვლადიმერ სამსონის-ძე ჩუბინიძე.

2. კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატებისა და მოსწავლეთა ქების სიგელების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ განსახკომის 194 წლის 20 მარტის ინსტრუქციის დარღვევისა და ატესტატის ბლანკების დაკარგვისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ქარელის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. დიმიტრი თომას-ძე ლობჟანიძეს და თბილისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მიხეილ მახარობლის-ძე კვაჭაძეს.

3. მოწმობა-ატესტატების არასწორად შევსებისათვის გამოეცხადოს საყვედური:

ა) კასპის რაიონის წითელქალაქის საშუალო სკოლის დირექტორს ელენე კირილეს-ასულ კოვალევსკაიას, ბ) ძველი გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორს შანია ალექსის-ასულ ამერლიშვილს, გ) ქ. ონის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს პეტრე კოსტანტინეს-ძე ჯაფარიძეს, დ) ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის საშუალო სკოლის დირექტორს ვალენტინა იასონის-ასულ ჩხიკვაძეს და ე) სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშუალო სკოლის დირექტორს კირილე ფილიპეს-ძე კუდავას.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განსახკომებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს ა/წ. 20 ნოემბრამდე შეამოწმონ სკოლებში მოწმობა-ატესტატების გაცემისა და აღრიცხვის საქმე; ყველა ზედმეტი და აგრეთვე უვარგისი მოწმობა-ატესტატი სასწრაფოდ წამოიღონ სკოლებიდან, შეადგინონ მათზე სათანადო აქტები, რომლებიც ამ მოწმობა-ატესტატებთან ერთად წარმოადგინონ განსახკომში არა უგვიანეს ა/წ. 25 ნოემბრისა.

5. ვავალებ საქართველოს სსრ ყველა დაწესებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს) გულდასმით შეისწავლონ საქართველოს სსრ განსახკომის 1940 წლის 20 მარტის ინსტრუქცია — კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატებისა და მოსწავლეთა ქების სიგელების დაბეჭდვის, შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების შესახებ და მომავალში მოწმობა-ატესტატებისა და მოსწავლეთა ქების სიგელების გაცემა აწარმოონ აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეებმა ა/წ. 15 ივნისამდე განიხილონ ეს ბრძანება დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორების (გამგეების) თათბირზე და ადგილზე საჭირო ღონისძიებათა გატარებით ზრუნველჰყონ მოწმობა-ატესტატებისა და მოსწავლეთა ქების სიგელების შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების საქმის სათანადოდ მოწესრიგება.

7. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ ა/წ. 30 ნოემბრამდე განსახკომის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინოს მოხსენება ამ ბრძანების შესრულების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ზ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლის 20 დეკემბერი.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში დანაშაულებათა გამო, კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის შალვა ხპირიდონიძეს ჯანჯღავას და ამავე რაიონის ფითელაკაძის საშუალო სკოლის დირექტორის ელენე კირილეს ასულ კოვალევსკაიას თანამდებობიდან მოხსნისა და მათი საქმის საგამოძიებლო ორგანოებისათვის გადაცემისა და ატესტატის ცუდად შენახვისათვის ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორის სტეფანე მესხოპილის კატაიანის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საშუალო სკოლის ატესტატების შენახვისა, შევსებისა და გაცემის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დირექტივებისა და მითითებების დანაშაულებრივი დარღვევის შედეგად, კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს შ. ს. ჯანჯღავას დაეკლდა საშუალო სკოლის კურსდამთავრების ატესტატის 12 ცალი ბლანკი, ამავე რაიონის წითელქალაქის საშუალო სკოლის დირექტორმა ე.-კ. კოვალევსკაიამ მოსწავლე უმიკოვას სახელზე გასცა ყალბი ატესტატი საშუალო სკოლის კურსის ფრიადზე დამთავრების შესახებ, ხოლო ქ. თბილისის ვაჟთა 23-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ს. მ. კატაიანმა ფანქრით მოაწერა ხელი ამავე სკოლის კურსდამთავრებული მოსწავლის ს. ე. არუთინოვის ატესტატს. ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე შ. ს ჯანჯღავა კურსდამთავრებულთა ატესტატების დაკარგვისათვის მოიხსნას თანამდებობიდან და მისი საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს;

3. კასპის რაიონის წითელქალაქის საშუალო სკოლის დირექტორი ე. კოვალევსკაია მოსწავლე ლ. უმიკოვისათვის საშუალო სკოლის კურსის ფრიადზე დამთავრების ყალბი ატესტატის მიცემის გამო მოიხსნას თანამდებობიდან და მისი საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს;

3. ქ. თბილისის ვაჟთა 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი ს. მ. კატაიანი ამავე სკოლის კურსდამთავრებულის ს. ე. არუთინოვის ატესტატზე ფანქრით ხელისმოწერისათვის მოიხსნას თანამდებობიდან.

4. წითელქალაქის საშუალო სკოლის კურსის ფრიადი წარმატებით დამთავრების შესახებ მოსწავლე ლილი რუბენის-ასულ უმიკოვას სახელზე გაცემული ატესტატი, როგორც ყალბი, გაუქმდეს, ხოლო ყოფილი მოსწავლე ლ. უმიკოვა, რომელმაც ამ ყალბ ატესტატზე მოაწერა ხელი სამი მასწავლებლის მაგიერ, გადაცემულ იქნეს სასამართლოზე მისი პასუხისგებაში მისაცემად.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა დაწყებითი არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1944 წლის 10 იანვრამდე შეისწავლონ საშუალო სკოლებში ატესტატების შევსებისა და გაცემის საქმე და დარღვევათა შესახებ სასწრაფოდ აცნობონ განსახკომს სათანადო ზომების მისაღებად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1944 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1943 წლის 20 დეკემბერი.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრების ატესტატის მიღების მიზნით, ზემოსვანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ამბ. ვ. გულბაანის განკარგულებით მესტიის საშუალო სკოლის მე-10 კლასში 1943 წლის ოქტომბერში ჩარიცხულ იქნენ 1941 წელს მესტიის პედასწავლებლის კურსდამთავრებული ნინა სამსონის ასული მერლიანი და დავით იოსების-ძე მერლიანი.

ნაცვლად იმისა, რომ ზემოსვანეთის რაიონის განათლების განყოფი-

ლებას პედაგოგიურ სამუშაოზე სწორად გამოეყენებინა პედსასწავლებლების კურსდამთავრებულები, ხელი შეეწყო მათი პედაგოგიური კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისათვის, საშუალო სკოლაში მათი ხელმეორედ ჩარიცხვით უხეშად დაარღვია საშუალო განათლების მიღების შესახებ დადგენილი წესი. ვბრძანებ:

1. საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში განათლების მიღების შესახებ დადგენილი წესის უხეშად დარღვევის გამო ზემოსვანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. გულბაანს და მესტიის საშუალო სკოლის დირექტორს ამ ს. ჩართოლანს მიეთითოთ.

2. ნინა სამსონის-ასული მერლიანი და დავით იოსების ძე მერლიანი გარიცხულ იქნან მესტიის საშუალო სკოლიდან.

3. განემარტოთ განათლების განყოფილების გამგეებსა და საშუალო სკოლების დირექტორებს, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის საშუალო სკოლაში ხელმეორედ ჩარიცხვა დაუშვებელია; დაეკალოს მათვე გარიცხონ სკოლებიდან ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს ერთი რომელიმე საშუალო სასწავლებელი ღა ხელმეორედ აგრძელებენ სწავლას საშუალო სასწავლებლებში.

4. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა პედაგოგიური სასწავლებლისა და საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 14 იანვარი.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. თბილისის 37-ე აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე მასმე ზელიზადემ 1943 წელში უკანონოდ ჩაბარა 9 კლასის კურსის დამთავრებაზე გამოცდები ყარაიაზის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში, სადაც ამჟამად არავითარი კვალი არ არის გამოცდების ჩაბარების გაფორმების შესახებ. ვბრძანებ:

1. ყარაიაზის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მიერ მასმე ზელიზადეს სახელზე გაცემული 9 კლასის კურსის დამთავრების მოწმობა გაუქმდეს.

2. წინადადება მიეცეს ყველა განათლების განყოფილებათა გამგეებს, არ დაუშვან ცალკეული კლასების დამთავრების მოწმობაზე მოსწავლეების მიერ გამოცდების ჩაბარების შემთხვევა განსახკომის სანქციის გარეშე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 13 იანვარი.

აღვნიშნავ, რომ კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების შენახვისა, შევსებისა და გაცემის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დირექტივებისა და მითითებების დანაშაულებრივი დარღვევის შედეგად, ჩხარის რაიონის ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლას დააკლდა საშუალო სკოლის კურსდამთავრების ატესტატის 2 ბლანკი.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ ერთი ატესტატი ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლის ყოფილ დირექტორს გობრონ ექვთიმეს-ძე ბოჭორიშვილს 1943 წელს უკანონოდ გაუცია მარიამ შაქროს-ასულ ბოჭორიშვილის სახელზე, რომელსაც საშუალო სკოლა 1937 წელს დაუმთავრებია ტყიბულის რაიონში, ხოლო მეორე ატესტატი, ყალბად შევსებული „კარგი“ შეფასებით, გაცემულია ამავე სკოლის ყოფილი დირექტორის გ. ე. ბოჭორიშვილისა და სასწავლო ნაწილის გამგის ნიკოლოზ ფილიპესძე-გუგუმბერიძის მიერ ქეთევან მიხეილის-ასულ თურქაძის სახელზე, რომელსაც 1942 წელს საშუალო წარმატებით აქვს დამთავრებული ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლა და იმავ წელსვე მიღებული აქვს სათანადო ატესტატი. ვბრძანებ:

1. მიღებული იქნეს ცნობად, რომ ჩხარის რაიონის ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი გობრომ ექვთიმეს-ძე ბოჭორიშვილი ამჟამად აღარ მუშაობს სახალხო განათლების დარგში, ამის გამო, მისი საქმე—მ. შ. ბოჭორიშვილისა და ქ. მ. თურქაძისათვის საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ყალბი ატესტატის მიცემის შესახებ, გადაეცეს პროკურატურის ორგანოებს.

2. ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლის სასსწავლო ნაწილის გამგე ნიკოლოზ ფილიპეს-ძე გუგუმბერიძე ქ. მ. თურქაძისათვის საშუალო სკოლის კურსის დამთავრებაზე ატესტატის უკანონოდ მიცემის გამო მოიხსნას თანამდებობიდან.

3. ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლის კურსის დამთავრების შესახებ მ. შ. ბოჭორიშვილისა და ქ. მ. თურქაძის სახელზე 1943 წელს გაცემული ატესტატები, როგორც ყალბი, გაუქმდეს.

4. ეს ბრძანება დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებს და პედაგოგიურ სასწავლებლებს ცნობად.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი მ. კიკნაძე

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 14 ივნვარი.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატის მიღების მიზნით:

ა) ქ. თბილისის 23-ე სომხური საშუალო სკოლის ყოფ. დირექტორის ს. მ. კატაიანისა და ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის თ. მამულოვის განკარგულებით 1943 წლის 14 ივნისს შედგა საგამოცდო კომისია და გამოცდაზე დაშვებულ იქნა 38-ე სომხური საშუალო სკოლის მოსწავლე კარაპეტ ბაგრატისძე ნიკოლიანი, რომელსაც გამოცდების შემდეგ მიეცა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი და შევიდა ა/კ. საგზაო ინსტიტუტში.

ბ) მე-11 სომხური საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის ა. ბეგლარიანის განკარგულებით 1941/42 სასწავლო წლის ბოლოს გამოცდებზე დაშვებულ იქნა გრაირ ავაკიანი, რომელიც გამოსული იყო საავიაციო ტექნიკუმის უკანასკნელი კლასიდან აპრილის თვეში. ავაკიანმა მიიღო საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი და 1943/44 სასწავლო წლის დასაწყისში ავრეთვე შევიდა საგზაო ინსტიტუტში.

აღვნიშნავ რა, რომ მე-11 და 23-ე სომხური საშუალო სკოლების დირექტორებმა უხეშად დაარღვიეს არსებული წესები საშუალო სკოლის კურსის დამთავრებაზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ და უკანონოდ გასცეს ატესტატები მოსწავლე ნიკოლიანისა და ავაკიანზე, ვბრძანებ:

1. გაუქმებულ იქნეს 23-ე სომხური საშუალო სკოლიდან 1943/44 წელს კარაპეტ ბაგრატის-ძე ნიკოლიანისა და მე-11 სომხური საშუალო სკოლიდან 1941/42 სასწავლო წლ. გრაირ გიორგის-ძე ავაკიანზე გაცემული ატესტატები.

2. აღინიშნოს, რომ თბილისის 23-ე სომხური საშუალო სკოლის დირექტორი ს. მ. კატაიანი უკვე მოხსნილია თანამდებობიდან.

3. ექსტერნატის შესახებ არსებული წესების უხეშად დარღვევისათვის მიეთითოს 23-ე სომხური საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს თ. მამულოვს და მე-11 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს (ამჟამად 31-ე სომხური საშუალო სკოლის დირექტორს) ამხ. გ. ელბაქიანს.

4. დაევალოს სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიგანათლების განყოფილებათა გამგეებს აცნობონ ა/კ. საგზაო ინსტიტუტს გ. გ. ავაკიანისა და კ. ბ. ნიკოლიანზე გაცემულ ატესტატების გაუქმების შესახებ და აღნიშნული ატესტატები გამოითხოვონ უკან.

5. ეს ბრძანება დაეგზავნოს ყველა დაწყებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლას.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისაგან.

1943 წლის 16 დეკემბერი.

კარალეთის საშუალო სკოლაში (გორის რაიონი) ფრიადოსნობის ჟალბი ატესტატების გაცემის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლაში ადგილი ჰქონდა ატესტატების არაწესიერად გაცემისა და აგრეთვე განიავების შემთხვევებს. ყალბი დოკუმენტების საფუძველზე კარალეთის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის (ამჟამად იმავე რაიონის ძევერის საშუალო სკოლის დირექტორის) მ. ყანჩაველის მიერ გორის რაიონის განათლების განყოფილებიდან გამოტანილია 7 საფრიადოსნო ატესტატი, იმ დროს, როცა სკოლას ჰყავდა მხოლოდ 4 ფრიადოსანი მოსწავლე ფრიადოსნობის ატესტატები გაცემულია ამავე სკოლის არაფრიადოსან მოსწავლეებზე და გარეშე პირზეც. გაცემულ ატესტატებზე მასწავლებელთა მაგივრად ხელს აწერდნენ სკოლის დირექტორი შ. ყანჩაველი და ამავე სკოლის მასწავლებელი (იგივე საქმის მწარმოებელი) ვ. ხითაროვა. ამასთან სკოლას არ გააჩნია არც ერთი დოკუმენტი 1942—43 სასწავლო წელში კურსდამთავრებულთა შესახებ. აქედან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ყალბი საფრიადოსნო ატესტატების გაცემისა და აგრეთვე სასკოლო ქონების განიავებისა და სასკოლო დოკუმენტების მოუვლელობისათვის მოიხსნან თანამდებობიდან მათი საქმის სასამართლო ორგანიებზე გადაცემით—გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ყოფილი და ამჟამად ძევერის საშუალო სკოლის დირექტორი მარიამ დავითის ასული ყანჩაველი და კარალეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვარა არტემის ასული ხითაროვა.

2. კარალეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ა. სარიბეგაშვილი სასკოლო დოკუმენტების მოუვლელობისათვის და სკოლის საქმისადმი უყურადღებობისათვის მოიხსნას სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან და გამოყენებული იქნას სხვა სკოლაში მასწავლებლად.

3. გაუქმებულ და ჩამორთმეულ იქნას გორის რაიონის სოფ. კარალეთის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის მ. ყანჩაველის მიერ მიხეილ ისაკის-ძე ღოლიკაშვილის "და ვარსენ არუთინის-ასულ მურადოვას სახელზე გაცემული ყალბი საფრიადოსნო ატესტატები.

4. დაევალოს გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. ნოზაძეს გამოაარკვიოს სასკოლო დოკუმენტებისა და ატესტატების—მოვლა-დაცვის მდგომარეობა რაიონში და დასახოს საჭირო ღონისძიებანი ამ დარგში არსებულ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

5. საქართველოს სსრ ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ ამ ბრძანების განხილვა და სათანადო

ღონისძიებათა დასახვა სკოლის დირექტორებისა (გამგეების) და სასწავლო ნაწილის გამგეების რაიონულ (საქალაქო) თათბირებზე და ყველა დაწესებულებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პედსამჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე

ამოწურავი საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის 1944 წლის 2. მარტის ბრძანებიდან:

საშუალო სკოლების ატესტატების შენახვისა, შევსებისა და გაცემის შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის დირექტივებისა და მითითებების დანაშაულებრივი დარღვევისათვის მოიხსნან თანამდებობიდან ა/წლის პირველი მარტიდან:

1. გეგუჩაძე ტატიანა მიხეილის ასული—მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაიონმასკომის განათლების განყოფილების გამგე;

2. ჯანელიძე ალექსანდრე ივანეს-ძე—საჯეგახოს საშუალო სკოლის დირექტორი;

3. ზამთარაძე გიორგი კოსტანტინეს-ძე—კულაშის საშუალო სკოლის დირექტორი.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი 1944 წლის 7 თებერვალი.

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოუყენებისა და ლაბორატორიული ნამუშაოების ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ფიზიკის თვალსაჩინოდ სწავლების საქმეში საქართველოს სსრ მთელ რიგ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებს კარგი შედეგები აქვთ მოპოებული. ფიზიკის საპროგრამო მასალა სისტემატურად მუშავდება თვალსაჩინოებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტების საფუძველზე, სათანადო ყურადღება ექცევა ფიზიკის კაბინეტის იმგვარად მოწყობის საქმეს, რომ ფიზიკის პროგრამის კურსის მთავარი განყოფილებანი ლაბორატორიული წესით იქნეს დამუშავებული და შესწავლილი. მაგალითად, ქ. თბილისის ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი—გ. ბ. კობახიძე, ფიზიკის მასწავლებელი თვით დირექტორი—გ. კობახიძე) ფიზიკის კაბინეტს დათმობილი აქვს ცალკე ოთახები—ხელსაწყოების შესანახად და გაკვეთილების ჩასატარებლად; ხელსაწყოები დალაგებულია კარადებში ცალკე დარგების მიხედვით; კაბინეტი მდიდარია ხელსაწყოებით და არამარტო ცდების ჩატარების საშუალებას იძლევა, არამედ უზრუნველჰყოფს ფიზიკის პროგრამით გათვალისწინებულ ლაბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატორიულ სამუშაოთა შესრულებას, სამეცადინო ოთახი უზრუნველყოფილია ლაბორატორიულ სამუშაოთა ჩასატარებლად საჭირო დგანდარი გაყვანილია დენი, წყალი, მოწყობილია დანლილება; ხელსაწყოების შესანახ ოთახში გამოყოფილია კუთხე, სადაც სწარმოებს ხელსაწყო-იარაღების შეკეთება; კაბინეტში ინახება მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელსაწყოები: ელექტრომოტორი, ელექტრული ზარი, პერისკოპი, სიჩქარეთა შესაკრები ხელსაწყო, ვატერპასი, ხმის დამჭერი ხელსაწყო და სხვ. ქ. თბილისის ვაჟთა 21-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. ღოღობერიძე, ფიზიკის მასწავლებელი ვ. შაპოშნიკოვი) ფიზიკის კაბინეტს გამოყოფილი აქვს 3 ოთახი ხელსაწყოების შესანახად, გაკეთილების ჩასატარებლად და საწრეო მუშაობისათვის; ფიზიკურ კაბინეტებთან მოწყობილია ხელსაწყო-იარაღების დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნო, კაბინეტს დიდი რაოდენობით მოეპოვება მოსწავლეთა მიერ დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღები და მოდელები, რომელთა გამოყენება გაკეთილებს სისტემატურად სწარმოებს.

აღნიშნული სკოლების მასწავლებლები ფიზიკის კურსის სწავლებას მოხერხებულად უკავშირებენ სამხედრო ტექნიკის გაცნობას. მაგალითად, ქ. თბილისის ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. კობახიძემ მე-9 კლასში ახალი მასალის,—ბგერითი მოვლენების გამოყენება სამხედრო ტექნიკაში,—ახსნისას, მოსწავლეებთან ჩაატარა საუბარი საველე არტილერიის შენიღბვისა და ბგერის საშუალებით მისი აღმოჩენის შესახებ, თვითმფრინავის ადგილმდებარეობის განსაზღვრის ბინაურალური ხერხზე, ბგერის დამჭერებზე, გემის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე ჰიდროაკუსტიკური მიმღების საშუალებით; ამ მიზნით კლასში დემონსტრირებული იქნა მოძრავი კამერტონით ბგერის დაჭერა მოსწავლეთა მიერ დამზადებული ბგერის დამჭერის საშუალებით.

ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით თვალსაჩინოებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტების გამოყენების საქმე კარგადაა დაყენებული ქ. თბილისის ვაჟთა მე-11 (მასწ. გ. სანაძე), ქალთა 25-ე (მასწ. ა. იაროშენკო), ქალთა 31-ე (მასწ. ე. მურადიანი), კაცს-სალიეთის არასრული საშუალო (ჭიათურის რაიონი—მასწ. ლ. მუმლაძე), ლაითურის (მახარაძის რაიონი), გეგეჭკორისა და სხვა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში.

ამასთან ერთად, აღნიშნულ სკოლებში ფიზიკის თეორიული საკითხების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირებისა და მოსწავლეებში პრაქტიკული ჩვევების გაჯომუშავების მიზნით ფიზიკის მასწავლებლები კარგად იყენებენ საწარმოო გარემოს. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ქალთა 25-ე და ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლების ფიზიკის მაჩწავლებლებმა ელექტროდენის კანონების შესწავლის დროს მოაწყვეს ექსკურსიები ელექტროსადგურებში, მოსწავლეებს გააცნეს სატრანსფორმატორო ქვესადგურის ტექნიკური და საწარმოო პროცესების ძირითადი საფუძვლები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამასთან ერთად, ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებსაც. ბევრ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მითითებანი ფიზიკის სასკოლო კაბინეტების ხელსაწყოებით მომარაგებისა, ფიზიკის საპროგრამო მასალის გავლისას გაკვეთილებზე თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოყენებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობის შესახებ, ხოლო ზოგიერთ სკოლაში კი ფიზიკის კაბინეტის მოვლა-პატრონობისა და გაკვეთილებზე მათი გამოყენების საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან და ფიზიკის კაბინეტის ხელსაწყო-იარაღები სრულიად გამოუყენებლად აწყვია კარადებში. მაგალითად, ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. ხუბულავა), ფიზიკის მასწავლებელი—ფონია) საკმაოდ მოიპოება თვალსაჩინო ხელსაწყოები ფიზიკაში, მაგრამ ამ დისციპლინის სწავლება სკოლაში ზეპირსიტყვიერად სწარმოებს; ივანე ითქმის დუშეთის პირველ (დირექტორი ე. მოსეშვილი, ფიზიკის მასწავლებელი ნ. რაზმაძე), ზუგდიდის მე-3 (დირექტორი გ. ჯვებენავა, ფიზიიის მასწავლებელი პ. ყალიჩავა), წილკაანის (მცხეთის რაიონი—დირექტორი შ. თოდაძე), აწყურის (თელავის რაიონი, დირექტორი ი. ებელაშვილი), კაკაბეთის (საგარეჯოს რაიონი (დირექტორი პ. მელაძე) და ზოგიერთ სხვა არასრული საშუალო და საშუალო სკოლების შესახებაც. ამასთანავე, დასახელებულ სკოლებში, ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით მოსწავლეების ძალებით არ აწარმოებენ სხვადასხვა მოდელების, ხელსაწყოების, საქმეების, დიაგრამების, ტაბულებისა და სხვა თვითნაკეთი იარაღების დამზადებას და არ იმუშავებენ მოსწავლეებში სათანადო პრაქტიკულ ჩვევებს. არ ექცევა აგრეთვე შესაფერი ყურადღება მოსწავლეთა მუშაობას პრაქტიკული ხასიათის ამოცანებზე; არ ეწყობა ექსკურსიები ფაბრიკებსა, ქარხნებსა, ელექტროსადგურებში; მოუწესრიგებელია ფიზიკის წრეების მუშაობა: ბევრ სკოლაში ფიზიკის წრეები სრულიად არ არსებობს, ხოლო ზოგან, სადაც ასეთები არის, მათ მუშაობას საჭირო ხელმძღვანელობა არ ეწევა.

უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების სტუდენტებთან სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორიული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოყენების დარგში ჯერ კიდევ სუსტად სწარმოებს მუშაობა, ამის გამო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი სათანადოდ არ არის დაუფლებული საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტების ხელსაწყო-იარაღების გამოყენების ტექნიკას.

ფიზიკის სწავლებისას სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორიული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოუყენებლობის შედეგად ზოგიერთი სკოლის მოსწავლეები ვერ იჩენენ საკმაო ცოდნას ფიზიკის კურსის ძირითად საკითხებში, არ იცნობენ ფიზიკის ხელსაწყო-იარაღებს, არ აქვთ ცდების დაყენების ელემენტარული ჩვევა და არ შესწევთ უნარი ფიზიკაში მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ პრაქტიკაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

§—1

ფინადადება მიეცეს არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს:

ა) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა ფიზიკის კაბინეტებისათვის არასრულ საშუალო სკოლებში გამოყოფილი იქნეს თითო, ხოლო საშუალო სკოლებში ორ-ორი მშრალი ოთახი, რომელთაგანაც ერთი გამოყენებული იქნეს ხელსაწყოების შესანახად, ხოლო მეორე, სამეცადინო კლას—ლაბორატორიად;

ბ) სისტემატურად შეავსონ ფიზიკის კაბინეტები ახალი ხელსაწყოებებითა და მოდელებით;

გ) ადგილობრივი ელექტროგაყვანილობის ქსელიდან ფიზიკურ კაბინეტში გაიყვანონ ელექტროსადენები, ამასთანავე, დენის მისაღები ერთი წერტი მოაწყონ სადემონსტრაციო მაგიდაზე;

დ) მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ ფიზიკის კაბინეტის იარაღ-ხელსაწყოების მოვლა-დაცვაზე და ფიზიკური კაბინეტის მოწყობილობათა დაუფლებად შენახვისა და დაზიანებისათვის დაადონ სასჯელი კონკრეტულ დამნაშავეებს;

ე) კატეგორიულად აკრძალონ ქიმიური ცდების ჩატარება და აგრეთვე ქიმიური რეაქტივების შენახვა ფიზიკის კაბინეტებში;

ვ) სისტემატურად შეამოწმონ ფიზიკის გაკვეთილები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რამდენად იყენებს მასწავლებელი ფიზიკურ ხელსაწყო-იარაღებს სწავლების პროცესში და მიაღწიონ იმას, რომ აღკვეთილი იქნეს ფიზიკის გაკვეთილის ზეპირსიტყვიერად ჩატარება.

ზ) ფიზიკის კაბინეტებთან მოაწყონ ფიზიკური ხელსაწყო-იარაღების შემკეთებელი სახელოსნო, შეიძინონ ისეთი მოწყობილობანი, რომ ფიზიკურ კაბინეტში უზრუნველყოფილი იქნეს ფიზიკური იარაღ-ხელსაწყოების შეკეთება.

§—2

დაეკვალოს არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებლებს:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის კაბინეტები. შეაკეთონ დაზიანებული ხელსაწყო-იარაღები, დაალაგონ ისინი კარადებში ფიზიკის დარგების მიხედვით ცალ-ცალკე, შეადგინონ ხელსაწყო-იარაღების ზუსტი კატალოგი და მტკიცედ დაიცვან ხელსაწყოების მოვლა-შენახვის წესები;

ბ) კლას—ლაბორატორიაში დადგან საპროექციო ფანარი, მოაწყონ ოთახის დაბნელება და ფართოდ ისარგებლონ გაკვეთილებზე პროექციული თვალსაჩინოებით;

გ) ყოველ კლასში (6—10 კლ.) შეარჩიონ წარჩინებული, უნარიანი და დაინტერესებული თითო მოსწავლე და გამოიყენონ ისინი პრაქტიკულ სამუშაოებში დახმარების გაწევის მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გულდასმით ემზადონ ყოველი ახალი გაკვეთილისათვის და არ დაუშვან გაკვეთილის თვალსაჩინოების გარეშე ჩატარდება;

ე) იმ მიზნით, რათა გაკვეთილზე ცდა სწორად და ზუსტად იქნეს ჩატარებული, გათვალისწინებული ცდები საფუძვლიანად მოამზადონ და წინასწარ შეამოწმონ;

ვ) ფართოდ დანერგონ ფიზიკის მარტივ ხელსაწყოთა თვითკეთების პრაქტიკა და მოსწავლეებს მასობრივად დაამზადებინონ ისეთი თვითნაკეთი ხელსაწყოები, როგორიცაა: ბერკეტი, ორთქლის მანქანის მოქმედი მოდელი, ელექტრომაგნიტები, ელექტროზარი, პერისკოპი, პატარა მოტორი, დინამო, ხმის დამჭერი ხელსაწყო და სხვ.

ზ) საწარმოო პროცესების ძირითადი საფუძვლების პრაქტიკულად გაცნობის მიზნით, სადაც ეს შესაძლებელია, მოაწყონ ექსკურსიები, მაგალითად, თემაზე: „წყლის ძრავები“,—წისქვილში, „ძრაობათა გადაცემა და მექანიზმები“,—ადგილობრივ ქარხნებში, „სითბური ძრავები“—სამანქანო-სატრაქტორო სიდგურებში და დეპოებში, „ელექტრული ენერგიის წარმოქმნა და გადაცემა“—ელექტროსადგურებში და სხვ.

თ) ჩამოაყალიბონ ფიზიკის წრეები ცალ-ცალკე მე-6-7 კლასებისა და მე-8-10 კლასების მოსწავლეთათვის;

ი) ფიზიკაში წარმატების შეფასებისას, თეორიულ ცოდნასთან ერთად მხედველობაში ქონდნენ, შესწევს თუ არა მოსწავლეს უნარი ფიზიკაში მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში და აგრეთვე როგორ მონაწილეობას იღებს მოსწავლე ფიზიკის კურსის ცალკე დარგების მიხედვით თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადების საქმეში.

§—3

დაევალოს ამბროლაურის, გეგეჭკორის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის კასპის, თმორიწყაროს, ჰიათურის, ბორჩალოს, გორისა და მახარაძის რაიონისა და ქ. ფოთის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ამ რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული ფიზიკის ლაბორატორიებისათვის გამოჰყონ არანაკლებ ორი ოთახისა,—ერთი ხელსაწყოთა მოსათავსებლად, ხოლო მეორე—ცდების ჩასატარებლად.

ბ) ფიზიკის რაიონული ლაბორატორიების მეთოდისტებად შეარჩიონ ისეთი მუშაკები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული საგანს, ფიზიკური ექსპერიმენტების დაყენების ტექნიკას და ლაბორატორიულ-პრაქტიკულ საქმიანობაში საკმაო გამოცდილება აქვთ;

გ) უზრუნველჰყონ ფიზიკური ლაბორატორიები საჭირო ინვენტარით, იარაღებითა და ხელსაწყოებით, გაიყვანონ წყალი, ელექტრო დენი, ცდების ჩასატარებლად დარბაზში მოაწყონ დაბნელება და ეკრანი პროექციული თვალსაჩინოებისათვის;

დ) რაიონის სკოლების ფიზიკის მასწავლებელთათვის ლაბორატორიის ბინაზე ცდების მოწყობისა, მათთვის კონსულტაციებისა, მოხსენებებისა და ლექციების ჩატარებასთან ერთად, ფიზიკის პროგრამებით გათვალისწინებული კურსის სწავლებს, ფიზიკის კაბინეტების მოწესრიგებისა,

ცდების დაყენებისა და იარაღ-ხელსაწყოების შეკეთების საქმეში მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით ლაბორატორიის მეთოდისტები სისტემატურად მიაველინონ სკოლებში.

ე) ყველა ლაბორატორიასთან შექმნან ფიზიკური ხელსაწყო-იარაღების შემკეთებელი სახელოსნო, შეიძინონ ისეთი მოწყობილობანი, რომ ლაბორატორიის სახელოსნოში უზრუნველყოფილი იქნეს ფიზიკური იარაღ-ხელსაწყოების შეკეთება.

§—4

ფიზიკის გაკვეთილებზე სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმის გაუმჯობესებისათვის, დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ და პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) შეადგინონ ფიზიკის მასწავლებელთათვის პროგრამის ცალკეული საკითხების დამუშავების შესახებ საჭირო ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, დამუშაონ ფიზიკის თვალსაჩინოდ სწავლების საკითხების შესახებ მეთოდური წერილების სერია და 1944 წელს გამოსცენ სამი სახელწოდების მეთოდური წერილი, თითოეული საშუალო 2-3 ფორმის მოცულობისა;

ბ) შეადგინონ ინსტრუქცია ფიზიკის პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ და საველდებულო ექსპერიმენტების სია.

გ) 1944 წელში უზრუნველჰყონ გალანინისა და სხვათა სახელმძღვანელოს „ფიზიკური ექსპერიმენტები სკოლაში“ პირველი, მესამე და მეოთხე ტომების სათანადო თავების თარგმნა;

დ) სისტემატურად შეისწავლონ ფიზიკის სწავლების მდგომარეობა სკოლებში და განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება.

§—5

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა:

ა) 1944 წლის ზაფხულის პერიოდში მოაწყოს არასრული საშუალო სკოლების ფიზიკის 150 მასწავლებლის გადასამზადებლად ერთთვიანი კურსები: დროულად შეიმუშაოს კურსების სასწავლო გეგმა, შექმნას მატერიალური ბაზა ლაბორატორიული და სადემონსტრაციო ექსპერიმენტის დაუფლებისათვის; მიიწვიოს კურსებზე სამუშაოდ კვალიფიციური ფიზიკოსები, დახელოვნებული სპეციალისტები და უზრუნველჰყოს მასწავლებელთა გადამზადების მაღალი ხარისხი.

ბ) 1944 წლის მეორე ნახევარში ჩაატაროს ქ. თბილისის, ბათუმის, სოხუმისა, თელავისა და გორის სკოლების ფიზიკის მასწავლებელთათვის 5 საჯარო ლექცია უკანასკნელი მიღწევების შესახებ ფიზიკაში და ამ საქმეში ჩაბას ადგილობრივი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის მუშაკები.

§—6

უმაღლესი სკოლის სამმართველომ მიმდინარე წლის 30 მარტამდე შეისწავლოს საქართველოს სსრ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობის მდგომარეობა სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორიული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოყენების დარგში და ამ საქმეში არსებული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით ღონისძიების სათანადო პროექტი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას.

§—7

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელგამს დროულად მიიღოს ზომები და 1944-45 სასწავლო წლიდან უზრუნველჰყოს სკოლები ფიზიკის კაბინეტების წესავსებად საჭირო იარაღ-ხელსაწყოებით.

§—8

დაევალოს რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ეს ბრძანება 1944 წლის 20 მარტამდე განიხილონ პედაგოგიურ კაბინეტებსა, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში (პედაგოგიურ საბჭოებსა და საგნობრივი კომისიების სხდომებზე) და მისი განხორციელებისათვის დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლებში ფიზიკის სწავლება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვალსაჩინოების გამოყენების საქმეს და ფიზიკის სწავლების საქმეში თვალსაჩინოების დანერგვის მიზნით ყველა საჭირო პირობები შეუქმნან სკოლასა და მასწავლებლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1944 წლის 1 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. ძიძანაძე

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 9 მარტი.

დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობის, თვალსაჩინოებების გამოყენებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ბიოლოგიის სწავლების დროს თვალსაჩინოების გამოყენების საქმეში საქართველოს სსრ რიგ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებს კარგი შედეგები აქვთ მოპოებული: საჭირო ყურადღება ექცევა

ბიოლოგიის კაბინეტის იმგვარად მოწყობას, რომ ბიოლოგიის კურსის სწავლებისას პროგრამით გათვალისწინებული საკითხები თვალსაჩინოდ დამუშავდეს პრაქტიკულად იქნეს შესწავლილი. მაგალითად, ქ. თბილისის ვაჟთა 29-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. მდინარაძე, ბიოლოგიის მასწავლებლები—თვით დირექტორი გ. მდინარაძე თ. მეტრეველი და ბ. გოგიჩაიშვილი) ბიოლოგიის კაბინეტს დათმობილი აქვს ცალკე ოთახები—ხელსაწყოების შესანახად და გაკვეთილების ჩასატარებლად, ხელსაწყოები დალაგებულია კარადებში ცალკე დარგების მიხედვით, კაბინეტი ისეა მოწყობილი, რომ იძლევა არამარტო ცდების დაყენებისა, არამედ ბიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ლაბორატორიული წესით დამუშავების საშუალებას; სამეცადინო ოთახში არის საჭირო დგამი, გაყვანილია დენი, წყალი, მოწყობილია დაბნელება; კაბინეტს აქვს 7 მიკროსკოპი, 10 ლუპა, საპროექციო ფანარი, სკალპელების, პინცეტებისა და საპრეპარირო ნემსების რამდენიმე კომპლექტი, ტორსი, ადამიანისა და სხვადასხვა ცხოველების ჩონჩხები, ტოქსიდერმატიული ყუთი, ალოსკოპი, ცოცხალი კუთხე, ვივარიუმი, ინსექტარიუმი, რამდენიმე აკვარიუმი, ბოტანიკური წნეხები, ინკუბატორი; სკოლას აქვს 1 ჰა მიწის ნაკვეთი, მეტეოროლოგიური სადგური, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წყლისმცენარეთა ფლორა, მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოები ბიოლოგიის სხვადასხვა დარგიდან (ჰერბარიუმები, მწერებისა და მინერალების მრავალგვარი კოლექციები და სხვ.). სკოლაში შექმნილია სათანადო პირობები ნორჩ-ნატურალისტთა წრეების ნაყოფიერად მუშაობისათვის; მცენარეთა და ცხოველთა ზრდა-განვითარებაზე სწარმოებს სისტემატური დაკვირვებანი; სკოლას შეძენილი აქვს მოწყობილობანი სხვადასხვა მცენარის იაროვიზაციისათვის, აგრეთვე, საკმაო რაოდენობით გააჩნია ხელსაწყობი—ბოტანიკური, ზოოლოგიური და მინერალოგიური ექსკურსიების ჩასატარებლად.

ბიოლოგიის სწავლების შესაფერ სიმაღლეზე დაყენების მიზნით კარგი პირობებია შექმნილი აგრეთვე ქ. თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი ქ. თოხაძე, ბიოლოგიის მასწავლებელი—თვით დირექტორი ქ.თოხაძე), ქალთა მე-19 (დირექტორი ნ. კუპუხიძე, მასწ. მასწ. სამადაშვილი და ად. ბაღდავაძე), ქ. ჭიათურის 1 (დირექტორი კ. სამყურაშვილი, ბიოლოგიის მასწავლებელი პ. ნადირაძე), ონის მე-2 (დირექტორი ელ. ფარჯანიძე, ბიოლოგის მასწავლებელი ალ. ბუგიანიძე), ავლევის (ქარელის რ.—დირექტორი—ზ. ჯაველაძე, მისწავლებელი სულაქველიძე) და ზოგიერთ სხვა სკოლებში.

დასახელებული სკოლების მასწავლებლები ბიოლოგიის კურსის ძირითადი საკითხების (თესლი, ფოთოლი, უჯრედი, ქსოვილები, ყვავილის მორფოლოგიურ-ანატომიური აგებულება, კვება, ზრდა-განვითარების მოვლენები, მცენარეთა სუნთქვა და ცხოველთა ინდივიდუალური ცვალება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობა, ვეგეტატიური გამრავლება, იაროვიზაციისა და მოსავლის გადიდების ხერხები, წვრილი ცხოველებისა და ფრინველების შინაგანი აგებულება და სხვ.) შესწავლისას ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას და აშასთან სწავლებას მოხერხებულად უკავშირებენ სოფლის მეურნეობის პრაქტიკას. თბილისის ვაჟთა 29-ე საშუალო სკოლაში ცდებს აყენებენ ბოსტნეულ, ბაღისა და დეკორაციულ მცენარეებზე, ბაჰიებზე, ქათმებზე, თევზებსა და ამფიბიებზე, მოსავლის გადიდების ხერხებზე; აწარმოებენ მუშაობას აკადემიკოს ლისენკოს ცდების დაუფლებაზე (იაროვიზაცია, მცენარეთა განვითარების სტადიურობა, კარტოფილის ახალი წესით თესვა და სხვ). ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების გამოყენების საქმე კარგადაა დაყენებული აგრეთვე ხობის საშუალო სკოლაში (ბიოლოგიის მასწავლებელი ილ. ოსიავა), ამავე რაიონის სოფ. 1 მაისის (მასწავლებელი ვ. ბუკია) და საჯიჯაოს (მასწ. ი. ოკუჯავა), საშუალო სკოლებში. ამ სკოლებში ბოტანიკის კურსის სწავლება V—VI კლასებში მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების აგროტექნიკისა და სამკურნალო მცენარეთა მორფოლოგია—ანატომიის პრაქტიკულად გაცნობის საქმესთან; ასევე, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესწავლისას მოსწავლეებს პრაქტიკული ჩვევანი ეძლევათ ხელოვნური სუნთქვის ხერხებზე, სისხლის გადასხმის ტექნიკაზე და სხვ. კარგი მუშაობა აქვთ ჩატარებული ამ მხრივ, აგრეთვე, ცხაკაიას (მასწ. ვ. ხუხუა), ფოცხის (ხობის რ. მასწ. ბ ჯალაღანია), ჩიბათის (ლანჩხუთის რ. მასწ. ქ. სარჯველაძე), კვახჭირის (ქუთაისის რ. მასწავლებელი ელ. ღვინეფაძე), მაბარაძის (მასწ. ვ. ნიორაძე) საშუალო სკოლებს.

ჩოჩხათისა და ჩიბათის (ლანჩხუთის რ.), ოფშკვითის (ქუთაისის რ.), ორპირის (ტყიბულის რ.) და მთელ რიგ სხვა სკოლებში საჭირო ყურადღება ექცევა სასწავლო მიზნით ექსკურსიების მოწყობას და ადგილობრივი ბუნებრივი გარემოცვის გამოყენებას. ჩოჩხათის საშუალო სკოლამ ეკსკურსია ჩაატარა ადგილობრივ კოლმეურნეობათა საფუტკრეებში, სადაც შესწავლილ იქნა ფუტკრის ყოფა-ცხოვრება, მოვლა-პატრონობა და თაფლის ამოღების ტექნიკა; ოფშკვითის საშუალო სკოლა ხშირად აწყობს ექსკურსიას ადგილობრივ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მუშაობის სხვადასხვა დარგების პრაქტიკულად გასაცნობად; ორპირის საშუალო სკოლამ ჩაის, როგორც წამყვანი ტექნიკური კულტურის, სათანადოდ შესწავლის მიზნით რამდენჯერმე მოაწყო ექსკურსია ადგილობრივ ჩაის ფაბრიკაში.

ასეთ მუშაობის შედეგად, ზემოთ დასახელებული სკოლების მოსწავლეები საფუძვლიანად არიან დაუფლებულნი ბიოლოგიის საპროგრამო მასალას და ბიოლოგიაში მიღებულ ცოდნას სათანადოდ იყენებენ პრაქტიკაშიაც.

მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველოს სსრ ზოგიერთ დაწყებით,

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში ბიოლოგიის კაბინეტები სა-
ანადო ხელსაწყოებით არ არის მომარაგებული, მათი მოვლა-პატრონობა
ბისა და გაკვეთილებზე გამოყენების საქმეს საჭირო პასუხისმგებლობით
არ ეკიდებიან და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ბიოლოგიის საპრო-
გრამო მასალის გავლისას გაკვეთილებზე თვალსაჩინო ხელსაწყოების გა-
მოყენებას, სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობას და სასწავლო
საცდელ მიწის ნაკვეთებსა და ბუნების ცოცხალ კუთხეში მუშაობის სა-
თანადოდ გაწესას. არის შემთხვევები, რომ ბიოლოგიის კაბინეტის ხელ-
საწყო-იარაღები სრულიად გამოუყენებლად აწყვია კარადებში. მაგალი-
თად, ბოლნისის ქართულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ილ. ყვანია,
ბიოლოგიის მასწავლებელი გ. რამაზაშვილი) საკმაოდ მოიპოვება ბიოლო-
გიის ხელსაწყო-იარაღები და პრეპარატები (სკოლას აქვს 7 მიკროს-
კოპი, ლუპები, ჩონჩხები, ტორსი, სხვადასხვა კოლექციები), მაგრამ ბიო-
ლოგიის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს. იგივე ითქმის ყა-
რაიაზის (დირექტორი გ. კაჯაია, ბიოლოგიის მასწავლებელი დ. შეხ-
ლინსკი), ყარაიაზის რაიონის ქესალოს (დირექტორი ი. ალიევი, ბიოლო-
გიის მასწავლებელი ი. ბაბაევი), ახტაკლინის (დირექტორი ის. აქმეროვი,
ბიოლოგიის მასწავლებელი გაიბულოღლი), ბოლნისის რაიონის ძველქვეშის
(დირექტორი მუს. ჩოფუროვი, ბიოლოგიის მასწავლებელი რაშ. მუსარ-
ხაკულოვი), აკურის (დირექტორი მ. ბინატოვი, ბიოლოგიის მასწავლებელი
ლ. გიგინიშვილი), ქარელის (დირექტორი დ. გამრეკელი, ბიოლოგიის მას-
წავლებელი მარ. ბაბლიძე), თელავის 1 საშუალო (დირექტორი ალ. ნა-
დაშვილი, ბიოლოგიის მასწავლებელი ს. ნარეკლიშვილი), ორჯონიკიძის
I საშუალო (დირექტორი შ. გაბუნია, ბიოლოგიის მასწავლებელი ნ. მაღ-
ლაკელიძე), მცხეთის რაიონის—ქვ. ნიჩბისის (დირექტორი მ. დოლიძე,
ბიოლოგიის მასწავლებელი ბახტაძე) და ზოგიერთ სხვა არასრული სა-
შუალო და საშუალო სკოლის შესახებაც. დასახელებულ სკოლებში ბიო-
ლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით მოსწავლეების ძალები არ აწარ-
მოებენ სხვადასხვა მოდელების, სქემების, დიაგრამების, ტაბულების და-
მზადებას და კოლექციებისა და ჰერბარიუმების შეგროვება — შედგენასა
და გაკეთებას, არ იმუშავებენ მოსწავლეებში სათანადო პრაქტიკულ ჩვე-
ვებს, არ აწყობენ ექსკურსიებს ბუნებაში, წარმოებებში, კოლმეურნეობებ-
ში, საბჭოთა მეურნეობებში, საცდელ სადგურებში და სხვ.

ბევრ სკოლაში მოუწესრიგებელია ნორჩ-ნატურალისტთა წრეების მუ-
შაობა, ზოგან ნორჩ-ნატურალისტთა წრეები სრულიად არ არსებობს,
ხოლო სადაც ასეთები არის, მათ მუშაობას საჭირო ხელმძღვანელობა არ
ეწევა.

უმაღლეს პედაგოგიური სასწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკულ-
ტეტის კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის
დაუფლებული საშუალო სკოლის ბიოლოგიის კაბინეტების ხელსაწყო
იარაღების გამოყენების ტექნიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებული მიზეზების შედეგად საქართველოს სსრ ზოგიერთ დაწყებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მოსწავლეები სულ ცოტა არიან დაუფლებულნი ბიოლოგიის პროგრამულ კურსს და არ შესწევთ უნარი ბიოლოგიაში მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ პრაქტიკაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§—1

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ (ᲓᲐᲛᲘᲡᲔᲑᲡ):

ა) ბიოლოგიის კაბინეტისათვის დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლებში გამოჰყონ თითო, ხოლო საშუალო სკოლებში, სადაც ეს შესაძლებელია, ორ-ორი ოთახი, რომელთაგანაც ერთი გამოყენებულ იქნეს ხელსაწყოების შესანახავად და მეორე,— სამეცადინო კლასᲐ— ლაბორატორიად; იმ დაწყებით სკოლებში, სადაც ცალკე ოთახის გამოყოფის საშუალება არ არსებობს ერთერთ საკლასო ოთახში მოაწყონ ბიოლოგიის კუთხე;

ბ) შეავსონ ბიოლოგიის კაბინეტები ხელსაწყოებით, მოდელებით და თვალსაჩინოებისათვის აუცილებელი მასალებით (თესლეული, მცენარეთა ჯიშები, მიკროსკოპული პრეპარატები და სხვ);

გ) სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, ბიოლოგიის კაბინეტებში სადემონსტრაციო მაგიდაზე მოაწყონ ელექტროდენის მისაღები წერტი (სპიროექციო ფანრის, ალოსკოპის, ეპიდიასკოპისა და სხვა ხელსაწყობისათვის);

დ) მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ ბიოლოგიის კაბინეტის იარაღ-ხელსაწყოებისა და მასალების მოვლა-დაცვაზე; მათი დაუდევრად შენახვისა და დაზიანებისათვის დაადონ სასჯელი კონკრეტულ დამნაშავეებს;

ე) კატეგორიულად აკრძალონ ქიმიური ცდების ჩატარება და აგრეთვე ქიმიური რეაქტივების შენახვა ბიოლოგიის კაბინეტებში;

ვ) ხშირად შეამოწმონ ბიოლოგიის მასწავლებელთა გაკვეთილები სწავლების პროცესში თვალსაჩინოების გამოყენების თვალსაზრისით და მიაღწიონ იმას, რომ ბიოლოგიის გაკვეთილების ზეპირსიტყვიერად ჩატარება აღმოფხვრილი იქნეს.

§—2

ᲓᲐᲔᲕᲐᲚᲝᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ ბიოლოგიის კაბინეტები,— შეაკეთონ დაზიანებული ხელსაწყო—იარაღები, მოათავსონ ისინი კარადებში, შეადგინონ ხელსაწყო-იარაღების ზუსტი კატალოგი და მტკიცედ დაიცვან ხელსაწყოების მოვლა-შენახვის დარგში დადგენილი წესები;

ბ) კლას-ლაბორატორიაში დადგან საპროექციო ფანარი, ეპიდიოსკოპი, ალოსკოპი, მოაწყონ ოთახის დაბნელება და ფართოდ დანერგონ გაკვეთილზე პროექციული თვალსაჩინობა;

გ) მე-5—მე-9 კლასების მოსწავლეთაგან, ყოველ კლასში შეარჩიონ წარჩინებული, უნარიანი და დაინტერესებული თითო მოსწავლე და გამოიყენონ ისინი პრაქტიკულ სამუშაოებში დახმარების გაწევის მიზნით;

დ) გულდასმით ემზადონ ყოველი ახალი გაკვეთილისათვის და არ დაუშვან გაკვეთილის თვალსაჩინობის გარეშე ჩატარება;

ე) გაკვეთილზე ჩასატარებელი ცდები საფუძვლიანად მოამზადონ და წინასწარ შეამოწმონ.

ვ) ფართოდ დანერგონ ბიოლოგიაში მარტივი ხელსაწყოებისა და პრეპარატების თვითკეთების პრაქტიკა; მოსწავლეებს სისტემატურად და მასობრივად დაამზადებინონ ისეთი მარტივი ხელსაწყოები, როგორიცაა, მაგალითად, ფილტრის ძაბრები, ქაღალდის ქოთნები, საჰერბარიო ალბომები, ბოტანიკური წნეხები, მარტივი ბოტანიზირკები, მგუდავი შუშები, სხვადასხვა კოლექციებისათვის მუყაოსა და ხის ყუთები, ხოლო პრეპარატებიდან—ხელოვნური უჯრედი, დეკალცინირებული და ოსეინ გამოცლილი ძვალი, უჯრედისა და ქსოვილების მიკროსკოპული პრეპარატები, ნიადაგის, მინერალებისა და ლითონთა ნიმუშები, სხვადასხვა ჩონჩხები და სხვ.

ზ) პროგრამული საკითხების შესაბამისად საწარმოო პროცესების ძირითადი საფუძვლების პრაქტიკული გაცნობის მიზნით, სადაც ეს შესაძლებელია, მოაწყონ ექსკურსიები, მაგალითად, თემაზე—„ყვავილოვან მცენარეთა ზოგადი გაცნობა“ — ბუნებასა და კოლმეურნეობების ბაღებსა და საყვავილეებში, „სათესლე მასალის მომზადება, თესვის წესებისა და ამ პროცესების მექანიზაციის გაცნობა“, „მიჩურინის მცენარეთა ჯიშები“, „მცენარის ზრდისა და განვითარების რეგულირების საშუალებები“,— საცდელ სადგურსა და კოლმეურნეობებში; „მეცხოველეობა და მეფრინველეობა“, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკოლმეურნეო ფერმებში; „პირველყოფილი ადამიანის იარაღები“—ისტორიულ და ანთროპოლოგიურ მუზეუმებში;

თ) ჩამოაყალიბონ ნორჩ-ნატურალისტა წრეები ცალ-ცალკე მე-3—4, მე-5—7 და მე-8—10 კლასების მოსწავლეთათვის;

ი) ბიოლოგიაში წარმატების შეფასებისას თეორიულ ცოდნასთან ერთად მხედველობაში მიიღონ—შესწევს თუ არა მოსწავლეს უნარი ბიოლოგიაში მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენოს პრაქტიკაში, და აგრეთვე, როგორ მონაწილეობას იღებს მოსწავლე თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და პრეპარატების დამზადების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§—3

დაევალოს ბოჩჩალოს, ბოჩრის, მახარაძის, ამბროლაურის, ვანის, ზუგდიდ-კოჩრის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, თეთრიწყაროს რაიონებისა და ქალ. ფოთის განათლების განყოფილებებს:

ა) ამ რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული ბიოლოგიის ლაბორატორიებისათვის გამოჰყონ არანაკლებ ორი ოთახისა,—ერთი ხელსაწყოებისა და პრეპარატების მოსათავსებლად, ხოლო მეორე—სათანადო ცდების მოსაწყობად და ბიოლოგიის მასწავლებლებთან ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად;

ბ) სასწავლო-საცდელი მუშაობისათვის ბიოლოგიის ლაბორატორია უზრუნველჰყონ სათანადო მიწის ნაკვეთით;

გ) ბიოლოგიის ლაბორატორიის მეთოდისტებად შეარჩიონ ისეთი მუშაკები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული საგანს, ბიოლოგიური ექსპერიმენტების დაყენების ტექნიკას, აქვთ საკმაო გამოცდილება ლაბორატორიულ-პრაქტიკულ საქმიანობაში და შესწევთ უნარი კარგად მოაწყონ საცდელი მუშაობა მიწის ნაკვეთზე;

დ) უზრუნველჰყონ ბიოლოგიის ლაბორატორიები და საცდელი ნაკვეთი საჭირო ინვენტარით, იარაღებითა და ხელსაწყოებით; კაბინეტის ბინაზე გაიყვანონ წყალი, ელექტროდენი, ცდების ჩასატარებლად დარბაზში მოაწყონ დაბნელება და ეკრანი პროექციული თვალსაჩინოებისათვის;

ე) რაიონის სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთათვის ლაბორატორიის ბინაზე ცდების მოწყობისა და მათთვის კონსულტაციებისა, მოხსენებებისა და ლექციების ჩატარებასთან ერთად, ბიოლოგიის პროგრამებით გათვალისწინებული კურსის სწავლების, ბიოლოგიის კაბინეტების მოწესრიგებისა, ცდების დაყენებისა და იარაღ-ხელსაწყოების შეკეთების საქმეში მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, ლაბორატორიის მეთოდისტები სისტემატურად მიავლინონ სკოლებში;

ვ) საჭირო რაოდენობით შეიძინონ ბიოლოგიის ლაბორატორიისათვის სხვადასხვა პრეპარატების დასამზადებელი მასალა (სასაგნე და საფარავი მინები, სამართებელი, პინცეტი, სკალპელი, კორპი, საპრეპარირო აბაზანები, ტოქსიდერმატული ყუთი, ფილტრის ქაღალდი, კოლბები, სინჯარები და სხვ).

§—4

ბიოლოგიის გაკვეთილებზე სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმის გაუმჯობესებისათვის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) დაამუშაონ ინსტრუქცია ბიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ)შეადგინონ ბიოლოგიის გაკვეთილებზე ჩასატარებელი სავალდებულო ექსპერიმენტების სია;

გ) სისტემატურად შეისწავლონ ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა სკოლებში და განიზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება.

§—5

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა:

ა) 1944 წლის ზაფხულის პერიოდში მოაწყოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ბიოლოგიის 100 მასწავლებლის ერთთვიანი კურსები, შექმნას სათანადო მატერიალური ბაზა ლაბორატორიულ და სადემონსტრაციო ექსპერიმენტების საქმის დაუფლებისათვის, კურსებზე მოიწვიოს სამუშაოდ ბიოლოგიის სასკოლო კურსის ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში დახელოვნებული სპეციალისტები და უზრუნველჰყოს მასწავლებელთა გადამზადების მაღალი ხარისხი;

ბ) სისტემატურად მოაწყოს რაიონებსა და ქალაქებში არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთა სემინარები და მასწავლებლებთან აწარმოოს პრაქტიკული მუშაობა ბიოლოგიის სწავლების დროს თვალსაჩინოების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო.

§—6

დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლესი სკოლის სამმართველოს, მიმდინარე წლის 1 მაისამდე შეისწავლოს საქართველოს სსრ უმაღლეს პედაგოგიური სასწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობის მდგომარეობა სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისა და თვალსაჩინოების გამოყენების დარდგში და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, ღონისძიების სათანადო პროექტი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას.

§—7

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელგამს დროულად მიიღოს ზომები და 1944—45 სასწავლო წლიდან უზრუნველჰყოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ბიოლოგიის კაბინეტების შევსება საჭირო ხელსაწყოებითა და პრეპარატებით.

§—8

დაევალოს რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ეს ბრძანება 1944 წლის 20 მარტამდე განიხილონ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოებისა და ბიო-

ლოგიის მასწავლებელთა საგნობრივი კომისიების სხდომებზე და მისი განხორციელებისათვის დასახორ სათანადო ღონისძიებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატურად შეამოწმონ სკოლებში ბიოლოგიის სწავლება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმის გამორკვევას, თუ როგორ არის თვალსაჩინოება გამოყენებული და ბიოლოგიის სწავლების საქმეში თვალსაჩინოების დანერგვის მიზნით ყველა საჭირო პირობები შეუქმნან სკოლასა და მასწავლებლებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1944 წლის 26 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

ბრძანება

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 9 მარტი.

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ქიმიის თვალსაჩინოდ სწავლების საქმეში საქართველოს სსრ რიგ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებს კარგი შედეგები აქვთ მოპოებული: სათანადო ყურადღება ექცევა ქიმიის კაბინეტების შევსებისა და მოწყობის საქმეს ხელსაწყოებითა და პრეპარატებით, ქიმიის სწავლების დროს სისტემატურად სწარმოებს თვალსაჩინოებისა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტების გამოყენება. მაგალითად, ქალ. თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ლ. მელაძე, ქიმიის მასწავლებელი ნ. ჯაფარიძე) ქიმიის კაბინეტს დათმობილი აქვს ორი ოთახი ხელსაწყოების შესანახად და გაკვეთილებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად; ხელსაწყოები, რეაქტივები და ჭურჭლეულობა ცალ-ცალკეა დალაგებული კარადებში; კაბინეტი მდიდარია მოწყობილობით, ჭურჭლეულობით, რეაქტივებით და სავსებით უზრუნველჰყოფს ქიმიის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას; სამეცადინო მაგიდები საუკეთესოდ არის მოწყობილი ლაბორატორიული მუშაობისათვის, მაგიდაზე მომუშავე მოსწავლეს აქვს წყალი, ელექტროდენი, რეაქტივები; კაბინეტს აქვს წყალი, ელექტროდენი, რეაქტივები; კაბინეტს აქვს კარგი ამწოვი კარადა, ანალიზური სასწორი, ელდენის გამმართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზის აპარატი, კედლები მორთულია ტაბულებით, დიაგრამებით, გაშორებულ ქიმიკოსთა სურათებით, მოსწავლეთა თვითნაკეთი დიაგრამებით, შენ-დელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის დიდი ტაბულით და სხვ. ქიმიის სწავლებისათვის კარგი პირობებია შექმნილი აგრეთვე ქალ. თბილისის ქალთა მე-19 (დირექტორი ნ. კუჭუხიძე, ქიმიის მასწავლებელი პ. ჩირგაძე), ვაჟთა მე-19 (დირექტორი დ. კოტრიკაძე, ქიმიის მასწავლებელი იგივე,—დირექტორი კოტრიკაძე და მასწ. ლ. გოგიბერიძე), ქალთა მე-12 (დირექტორი გ. ჭავჭანიძე, ქიმიის მასწავლებელი ელ. მაღალაშვილი), მცხეთის რაიონის—მუხრანის (დირექტორი მ. ფაცურია, ქიმიის მასწავლებელი მ. ავანაშვილი), ქალ. ქუთაისის ვაჟთა მე-9 რუსული (დირექტორი ივ. წულეისკირი, ქიმიის მასწავლებელი ალ. გიგინეიშვილი), მახარაძის რაიონის—ნატანების (დირექტორი ექ. სამსონია, ქიმიის მასწავლებელი ეკ. ლომინაძე), ცხაკაიის 1 საშუალო (დირექტორი ვლ. დავითაია, ქიმიის მასწავლებელი იგივე,—დირექტორი დავითაია), ჩხოროწყუს (დირექტორი ი. ქებურია, ქიმიის მასწავლებელი ო. კეკელიძე) და ზოგიერთ სხვა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას ქიმიის კურსის ისეთი მთავარი საკითხების სწავლებისას, როგორიცაა—ჰალოგენები, ჟანგეულები, ჰიდრატები, მჟავები, ფუძეები, ტუტე და მოტუტო მეტალები, ჟანგვისა და აღდგენის პროცესები, ელექტროლიზური დისოციაცია, ქიმიურ ნივთიერებათა სტრუქტურული ფორმულები, სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებათა ფრაქციონული წესით მიღება, ს. მ. ნ. და სხვ.

ზოგიერთ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლას კარგი შედეგები აქვს მოპოებული აგრეთვე სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით სამხედრო ქიმიის საკითხების თვალსაჩინოდ სწავლების საქმეშიც. ასე, მაგალითად, წალენჯიხის რაიონის ლეჯახოეს არასრული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ფ. ჯანოევმა საკითხის „წყლის“ შესწავლისას კარგად გამოიყენა თვალსაჩინოება და მოსწავლეებს სათანადო ცოდნა მისცა ქიმიურ ომში მტრის მიერ წყლის, როგორც ერთერთი საბრძოლო საშუალების გამოყენების შესახებ; თემის „ჰალოგენების“ შესწავლისას მოსწავლეებს მიეცათ ცოდნა ზოგიერთ საბრძოლო-მომწამლავ ნივთიერებათა და მათ საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი ხერხების შესახებ; ასევე, ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის მეთოდების შესწავლა ორგანულად იყო დაკავშირებული საპროგრამო მასალასთან; ქ. თბილისის ვაჟთა მე-9 რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. გაწერელიამ ცდების საშუალებით გააცნო მე-7 კლასის მოსწავლეებს წყალბადი, დანიელის სანაათურის აგებულება, მოხერხებულად ააფეთქა მგრგვინავი გაზი და მისცა მოსწავლეებს სათანადო წარმოდგენა წყალბადის გამოყენებაზე ტექნიკასა და სამხედრო საქმეში (აეროსტატი, დირიჟაბლი); ამავე მასწავლებლის მიერ თვალსაჩინოების გამოყენების საფუძველზე კარგად იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშუქებული მე-10 კლასში ნავთობისა და მისი პროდუქტების მნიშვნელობა თანამედროვე სამამულო ომის დროს.

ასეთი მუშაობის შედეგად ზემოდასახელებული სკოლების მოსწავლეები საფუძვლიანად არიან დაუფლებულნი ქიმიის კურსს, კარგად ერკვევიან ქიმიურ მოვლენებში, აქვთ გამომუშავებული ქიმიური ხელსაწყოების, ჭურჭლეულობისა და რეაქტივების გამოყენების ჩვევანი, ახერხებენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცდების მოწყობას და ქიმიაში მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებენ პრაქტიკაშიაც.

მაგრამ, ამასთან ერთად, აღვილი აქვს ნაკლოვანებებს: ბევრ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მითითებები ქიმიის კაბინეტების მოვლა-პატრონობისა და მათი სათანადო ხელსაწყოებითა და პრეპარატებით უზრუნველყოფის შესახებ არადამაკმაყოფილებლად სრულდება, ხოლო ზოგან კი, ქიმიის საპროგრამო მასალის შესწავლას აწარმოებენ სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა და სხვა სახის თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე—ქიმიის კაბინეტის ხელსაწყო-იარაღები და პრეპარატები სრულიად უმოძრაოდ ძევს. ასე, მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის, ბოგვის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვლ. თუშერაშვილი, ქიმიის მასწავლებელი ვ. ჩაჩუა) ქიმიის ხელსაწყო, იარაღები და პრეპარატები ბიოლოგიისა და ფიზიკის ხელსაწყოებშია არეული და მათი გამოყენება არ სწარმოებს; ამავე რაიონის ერტისის არასრულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. დოხნაძე, ქიმიის მასწავლებელი იგივე,—დირექტორი დოხნაძე) ქიმიის კაბინეტისათვის ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები არ მოიპოვება და სწავლების დროს თვალსაჩინოებას სრულებით არ იყენებენ; ქ. თბილისის ქალთა მე-3 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. კერკისალოვა, ქიმიის მასსავლებელი ნ. სოროკინა) ქიმიის კაბინეტი არის, მაგრამ მასწავლებელი ცდებს არ აწყობს. ასეთივე მდგომარეობაა თეთრიწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი იქ. აპოსტოლიდი, ქიმიის მასწავლებელი ა. პოპულიდი) და რესპუბლიკის ზოგ სხვა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში. ამასთან ერთად დასახელებულ სკოლებში მოსწავლეებს არ აჩვენენ მარტივი პრეპარატებისა და ხელსაწყოების დამზადებას, სრულებით არ აქცევენ ყურადღებას ექსკურსიების მოწყობას ქიმიურ წარმოებებში და მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული მასწავლებლის ხელმძღვანელობით ქიმიური ექსპერიმენტების მოწყობის ჩვევები.

ბევრ სკოლაში სუსტად არის გაშლილი აგრეთვე კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში და ამ დარგში თვალსაჩინოების გამოყენების საქმე; მრავალ სკოლაში ნორჩ-ქიმიკოსთა წრეები ჩამოყალიბებულია, მაგრამ მუშაობა არ სწარმოებს; ზოგან არასრულ საშუალო სკოლებში ქიმიას ასწავლის არასპეციალისტი მასწავლებელი, მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის ერტისის არასრულ საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლის ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე სტუდენტებთან სასკოლო-სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორიული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოყენების დარგში ჯერ კიდევ სუსტად სწარმოებს მუშაობა, ამის გამო კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი სათანადოდ არ არის დაუფლებული საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტის ხელსაწყო იარაღებისა, პრეპარატებისა და რეაქტივების გამოყენების ტექნიკას.

ამ მიზეზების შედეგად საქართველოს სსრ მრავალი არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან საპროგრამო მასალა ქიმიაში და ვერ იჩენენ პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარს. გ ბ რ ძ ა ნ ებ:

§—1

1. ფინანსდ ადგა მ ი ე ც ს ს ა რ ა ს ა რ უ ლ ი ს ა შ უ ა ლ ო. ს ა ს ა უ ა ლ ო. ს ა კ ო ლ ე ბ ი ს

ს ი რ ე ქ ტ ო რ ებ:

ა) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა ქიმიის კაბინეტისათვის არასრულ საშუალო სკოლაში გამოიყოს ერთი ოთახი, ხოლო საშუალო სკოლაში, სადაც ეს შესაძლებელია, ორი ოთახი, რომელთაგანაც ერთი გამოყენებულ იქნეს ხელსაწყოების, ჭურჭლეულობისა და რეაქტივების შესანახად და მეორე—სამეცადინო კლას-ლაბორატორიად, სადაც უნდა იქნეს მოწყობილი ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა, წყალსადენი ბაკანით და, სადაც ეს მოსახერხებელია, ელექტრო-გაყვანილობა;

ბ) სისტემატურად შეავსონ ქიმიის კაბინეტი საჭირო ქიმიური ჭურჭლეულობითა და რეაქტივებით, საჭირო რაოდენობით შეიძინონ ქიმიაში ლაბორატორიული მუშაობისათვის ჩამოსარიგებელი მასალა (შუშისა და რეზინის მილები, გოფმანის საჭერები, სინჯარები, შტატივები, სინჯარის ხის საჭერები, ფაიფურის ტიგელები, ქიმიური ჭიქები, მავთულის ბადეები, დენატურატი, სპირტის სანათურები, კოლბები, რეტორატები, მჟავები, ტუტეები და სხვ. ქიმიალები);

გ) მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ, რათა ქიმიური ხელსაწყოები, რეაქტივები და ჭურჭლეულობა არსებული წესების მიხედვით ინახებოდეს კაბინეტში;

დ) სისტემატურად შეამოწმონ ქიმიის გაკვეთილები, მიაქციონ ყურადღება იმას, თუ რამდენად იყენებს მასწავლებელი თვალსაჩინოებას სწავლების პროცესში და აღკვეთონ ქიმიაში გაკვეთილების ზეპირსიტყვიერად ჩატარების პრაქტიკა.

§—2

დ ა ე ვ ა ლ ო ს ა რ ა ს ა რ უ ლ ი ს ა შ უ ა ლ ო. დ ა ს ა შ უ ა ლ ო. ს ა კ ო ლ ი ს ქ ი მ ი ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ებ ლ ებ ს:

ა) სრულ წესრიგში მოიყვანონ ქიმიის კაბინეტი, სუფთად შეინახონ ქიმიური ჭურჭელი და დაბოგვით დახარჯონ რეაქტივები, შეადგინონ ხელ-

საწყო-იარაღების, ჭურჭლეულობისა და რეაქტივების ზუსტი სიზუსტე და მტკიცედ დაიცვან ხელსაწყოების, ჭურჭლეულობისა და რეაქტივებში მოჯვ-ლა-შენახვის წესები;

ბ) VII—X კლასების მოსწავლეთაგან ყოველ კლასში შეარჩიონ წარჩინებული, უნარიანი და დაინტერესებული ორ-ორი მოსწავლე და დახმარების გაწევის მიზნით გამოიყენონ ისინი პრაქტიკულ სამუშაოებში;

გ) გულდასმით ემზადონ ყოველ გაკვეთილისათვის და არ დაუშვან გაკვეთილის თვალსაჩინოების გარეშე ჩატარება;

დ) გაკვეთილზე ექსპერიმენტების ზუსტად ჩატარების მიზნით გათვალისწინებული ცდები წინასწარ მოამზადონ და შეამოწმონ;

ე) ფართოდ დანერგონ ქიმიურ მარტივ ხელსაწყოთა, მაგალითად, გაზების მისაღები გამარტივებული ხელსაწყოს, სხვადასხვა ტიპის ქაღალდის ფილტრებისა, მარილის მჟავას მისაღები მოქმედი მოდელისა, ელექტროლიზის ჩასატარებელი ხელსაწყოს დამზადება; შეაჩვიონ მოსწავლეები მინის მილების მოღუნვა-გაწელვას, საცობების მოქნა-მორგებას და სხვ;

ვ) ქიმიის პროგრამის საკითხების შესაბამისად საწარმოო პროცესების ძირითადი საფუძვლების პრაქტიკულად გაცნობის მიზნით, სადაც შესაძლებელია, მოაწყონ ექსკურსიები საპნის, ტყავის, სხვადასხვა მჟავეებისა და ქიმიური სახის სხვა ქარხნებში;

ზ) ჩამოაყალიბონ ნორჩ-ქიმიკოსთა წრეები;

თ) მოსწავლეთა წარმატების შეფასებისას, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მხედველობაში მიიღონ შესწევს თუ არა მოსწავლეს უნარი ქიმიაში მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენოს პრაქტიკაში.

§—3

წინადადება მივცეს გორჩალოს, გორის, მახარაძის, ამბროლაურის, ვანის მგზეჭკორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, თეთრიწყაროს რაიონებისა და ქალ. ფოთის განათლების განყოფილებებს:

ა) ამ რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული ქიმიის ლაბორატორიისათვის გამოჰყონ ორი ოთახი,—ერთი ხელსაწყოებისა, პრეპარატებისა და რეაქტივების მოსათავსებლად, ხოლო მეორე—ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად;

ბ) ქიმიის ლაბორატორიისათვის მეთოდისტებად შეარჩიონ ისეთი მუშაკები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებულნი საგანს, ქიმიური ცდებისა და ექსპერიმენტების დაყენების ტექნიკას და ლაბორატორიულ-პრაქტიკულ საქმიანობაში გამოცდილება აქვთ;

გ) უზრუნველჰყონ ქიმიის ლაბორატორია საჭირო ინვენტარით—იარაღებით, ხელსაწყოებით, პრეპარატებით, რეაქტივებით, რეაგენტებით, ტაბულებით, დიაგრამებითა და სხვა; გიიყვანონ ელექტროდენი, წყალსადენი ბაკანით, მოაწყონ ამწოვი კარადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) რაიონის სკოლების ქიმიის მასწავლებელთათვის ლაბორატორიის ბინაზე ცდების მოწყობისა, მათთვის კონსულტაციებისა, მოხსენებებისა, საუბრებისა და ლექციების ჩატარებასთან ერთად, ქიმიის პროგრამებით გათვალისწინებული კურსის სწავლების, ქიმიის კაბინეტის მოწესრიგებისა და ცდების დაყენების საქმეში მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, ლაბორატორიის მეთოდისტები სისტემატურად მიავლენონ სკოლებში.

§—4

ქიმიის გაკვეთილებზე სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმის გაუმჯობესების მიზნით განსახ-კოქმის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა:

ა) სისტემატურად შეისწავლონ ქიმიის სწავლების მდგომარეობა სკოლებში და განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება;

ბ) დაამუშაონ და 1944 წლის ბოლომდე გამოსცენ წიგნი—„ქიმიის კაბინეტი არასრულ და საშუალო სკოლაში“.

§—5

დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს:

ა) 1944 წლის ზაფხულის პერიოდში ერთთვიან კურსებზე გადაამზადონ არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ქიმიის 100 მასწავლებელი, კურსების ლექტორებად მოიწვიონ კვალიფიციური ქიმიკოსები,—ლაბორატორიულ მუშაობაში დახელოვნებული სპეციალისტები და უზრუნველჰყოს მასწავლებელთა გადამზადების მაღალი ხარისხი;

ბ) თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის მოწყობის საქმეში მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით სისტემატურად მოაწყოს რაიონებსა და ქალაქებში არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქიმიის მასწავლებელთა სემინარები.

§—6

საქართველოს სსრ განსახკომის უმაღლესი სკოლის სამმართველომ 1944 წლის 1 მაისამდე შეისწავლოს საქართველოს სსრ უმაღლეს პედაგოგიური სასწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე პრაქტიკული მუშაობის მდგომარეობა—სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორიული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოყენების დარგში და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ღონისძიებების სათანადო პროექტი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას.

§—7

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელგამს დროულად [illegible] ზომები და 1944-45 სასწავლო წლიდან უზრუნველჰყოს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ქიმიის კაბინეტების შევსება საჭირო ხელსაწყოებითა და პრეპარატებით.

§—8

დაევალოს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ეს ბრძანება 1944 წლის 20 მარტამდე განიხილონ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად დასახონ სათანადო ღონისძიებანი;

ბ) სკოლების მუშაობის შემოწმებისას განსაკუთრებით მიაქციონ ყურადღება იმას, თუ რამდენად იყენებენ ქიმიის მასწავლებლები თვალსაჩინოებას გაკვეთილებზე და ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გაატარონ სათანადო ღონისძიებანი.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1944 წლის 20 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

			გვ.
1.	ბრძანება	სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და მათი სკოლებში ჩაბმის შესახებ	3
2.	ბრძანება	სკოლებში მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის ციფრობრივი ხუთბალიანი შეფასების სისტემის შემოღების შესახებ	4
3.	ბრძანება	სკოლაში სოციალისტური შეჯიბრების შესახებ . .	
4.	ბრძანება	კინოფურათებსა, თეატრებსა, სპექტაკლებსა, კონცერტებსა და სხვა სანახაობაზე 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა დასწრების წესის შესახებ . . .	5
5.	ბრძანება	1943 წელში სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავება-მოვლის დარგში ჩატარებული მუშაობის შედეგებისა და 1944 წელში მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ	6
6.	ბრძანება	კურსდამთავრებულთა მოწმობა-ატესტატების შენახვის, გაცემისა და ანგარიშგების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისა და დამახინჯეთა შესახებ .	8
7.	ბრძანება	საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის საქმეში დანაშაულებათა გამო კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგის შ. ჯანჯღავას, ამავე რაიონის წითელქალაქის საშუალო სკოლის დირექტორის ე. კოვალევსკაიას თანამდებობიდან მოხსნისა და მათი საქმის საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადაცემისა და ატესტატის ცუდად შევსებისათვის ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორის ს. კატაიანის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ	12
8.	ბრძანება	ზემოსვანეთის პედასწავლებლის კურსდამთავრებული მერლიანების უკანონოდ ჩარიცხვის შესახებ საშუალო სკოლის უკანასკნელ კლასში	13
9.	ბრძანება	ყარაიაზის საშუალო სკოლის მე-9 კლასში გამოცდაზე მოსწავლის უკანონოდ დაშვების შესახებ . . .	14
10.	ბრძანება	ყალბი ატესტატის გაცემის გამო ჩხარის რაიონის	

ქვედა ალისუბნის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის გ. ბოკორიშვილის პროკურატურის ორგანოებისათვის გადაცემისა და ამავე სკოლის საწვავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ 15

11. ბრძანება საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად ჩაბარების წესის დარღვევის შესახებ ქ. თბილისის მე-11 და 23-ე საშ. სკოლებში 16

12. ბრძანება კარალეთის საშუალო სკოლაში (გორის რაიონი) ფრიადოსნობის ყალბი ატესტატების გაცემის შესახებ 17

13. ბრძანებიდან ამონაწერი საშუალო სკოლების ატესტატების შენახვისა, შევსებისა და გაცემის შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის დირექტივების დანაშაულებრივი დარღვევისათვის სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ტ. გეგუჩაძისა და ამავე რაიონის საჯევახოს საშუალო სკოლის დირექტორის ა. ჯანელიძისა და კულაშის საშუალო სკოლის დირექტორის გ. ზამთარაძის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ 18

14. ბრძანება არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორულ სამუშაოების ჩატარების შესახებ 18

15. ბრძანება დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ბიოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ 24

16. ბრძანება არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების შესახებ . . 32

ეროვნული ბიბლიოთეკა